საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის 2017-2018 წლის საქმიანობის ანგარიში

მომზადებულია 2011-2017 წლების სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით

- ✓ უნივერსიტეტი წარმატებით აგრძელებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, დანერგვას და განხორციელებას. აკრედიტაცია გაიარა სოციალურ მეცნიერებეთა სკოლის შემდეგმა პროგრამება: ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა, პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; ჟურნალისტიკის სკოლა: ციფრული მედია და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა, E-Learning &IN-person Learning ჟურნალისტებისთვის - ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა მეზობელი ქვეყნების მედია სპეციალისტებისთვის (საპილოტე ვერსია); მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამართლის და პოლიტიკის გაცვლითი პროგრამა (საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა)
- ✓ უნივერსიტეტმა აკრედიტაცია გაიარა (ავტორიზაციის გზით) შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მე-V საფეხურის პროფესიულმა პროგრამამ. ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მხარდაჭერით შეძენილ იქნა თანამედროვე, მაღალი სტანდარტის აღჭურვილობა და უახლესი სასწავლო მასალები.
- ✓ უნივერსიტეტი ემზადება 2018 წლის ავტორიზაციისთვის, შედეგად, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განხორციელდა GIPA- ს რესურსების სრული მობილიზება.
- ✓ უნივერსიტეტის შიდა ხარისხის კონტროლი მკვეთრად გაუმჯობესდა, გაფართოვდა უნივერსიტეტის ინტრანეტის (lmb.gipa.ge) ფუნქციები, გარდა ფინანსური მონიტორინგის ფუნქციებისა მას დაემატა ხარისხის მართვის/უზრუნველყოფის კომპონენტი, კითხვარებისა და კვლევების სახით.
- ✓ უნივერსიტეტის ახალი, თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული შენობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის პროექტი კონკურსის გზით შეირჩა და დამტკიცდა.
- ✓ GIPA - ს პარტნიორი უნივერსიტეტების რიცხვი გაიზარდა და უნივერსიტეტი ორმაგი ხარისხის სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამებთან ერთად გაცვლით პროგრამებს სთავაზობს სტუდენტებს. პარტნიორი უნივერსიტეტებია: კოლუმბიის უნივერსიტეტი, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი, ტროის უნივერსიტეტი, ვროცლავის უნივერსიტეტი, კოლორადოს უნივერსიტეტი, ჟენევის ბიზნეს სკოლა (შვეიცარია), ტურიბას უნივერსიტეტი (ლატვია), Masaryk -ის უნივერსიტეტი, ზალცბურგის უნივერსიტეტი, მიჩიგანის უნივერსიტეტი, ვაიომინგის (აშშ) უნივერსიტეტი, ბურგას თავისუფალი უნივერსიტეტი, ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის უნივერსიტეტი, ვარნას ეკონომიკის უნივერსიტეტი, ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი), ჰანოვერის უნივერსიტეტი, ჰამბურგის უნივერსიტეტი, ბოკონის უნივერსიტეტი, კაგიარის უნივერსიტეტი, ლატვია-

ბიზნესისა და ფინანსები სკოლა, ლიტვა- kazimieras Simonavicius უნივერსიტეტი, ვიტავტა მაგნუსის უნივერსიტეტი, მაასტრიხტის მენეჯმენტის სკოლა, ვარშავის ეკონომიკის სკოლა, სლოვაკეთი - ბრატისლავას ეკონომიკის უნივერსიტეტი, გოტენბურგის უნივერსიტეტი, სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი.

- ✓ წარმატებით ხორციელდება საგრანტო პროექტები; ძირითადი დონორები: აშშ -ს საჯელმწიფო დეპარტამენტი, აშშ -ს საელჩო საქართველოში, USAID, USDA, EU/EC, IREX, OSI, CJS; US CDC, MCA, FAO, AAH, EC/ENPARD
- ✓ უნივერსიტეტის აქტივები (ზრდა 2015VS2016)- 2,915,662 ლარი; საგრანტო შემოსავალი (ზრდა 2015&2016) -1,172,419 ლარი, ტრენინგების და კონსულტაციების ცენტრის შემოსავალი (ზრდა 2015&2016) – 259,830 ლარი; კორპორატიულლი კონსულტაციების შემოსავალი (ზრდა 2015 VS 2016) – 209,830 ლარი.

არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შენარჩუნება/განვითარება

ხარისხის შენარჩუნების მიზნით, უნივერსიტეტში მუდმივად მიმდინარეობს არსებული და ახალი საგანმანათლებო პროგრამების შეფასება/მონიტორინგი, განახლება და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა. უნივერსიტეტმის ხუთმა ახალმა პროგრამა გაიარა აკრედიტაცია. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სკოლებში ხორციელდება შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

<u>მმართველობის სკოლა:</u>

- ➢ საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა
- ➢ ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა
- ➢ საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა
- ➢ ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა
- ➢ ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
- ➢ გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

<u>ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სკოლა:</u>

- ➢ მულტიმედიური ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა
- ➢ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამა
- ➢ მედია ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამა
- ➢ აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა
- ➢ ციფრული მედია და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა (ახალი პროგრამა)

<u>სამართლისა და პოლიტიკის სკოლა:</u>

- საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა
- საერთაშორისო სამართალის სამაგისტრო პროგრამა
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- მიგრაციის სამაგისტრო პროგრამა -Tempus Georgia-s პროექტის ფარგლებში ი.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთობლივი პროგრამა

<u>სოციალურ მეცნიერებათა სკოლა:</u>

- სოციალურ მეცნიერებებში საბაკალავრო პროგრამა
- გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა (ახალი პროგრამა)
- პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა (ახალი პროგრამა);
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა (ახალი პროგრამა);
- სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა (ახალი პროგრამა);

ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა

- კიბერუსაფრთხოების პროგრამა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კარიერის შუაში მყოფი თანამშრომლებისათვის -სამართლის სკოლა
- მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამართლის და პოლიტიკის გაცვლითი პროგრამა (საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა)
- E-Learning & In-Person Learning ჟურნალისტებისათვის - ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა მეზობელი ქვეყნების მედია სპეციალისტებისათვის (საპილოტე ვერსია) - ჟურნალისტიკისსკოლა
- ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრმა მომხმარებელს შესთავაზა ახალი სერტიფიცირებული პროგრამები შემდეგი მიმართულებებით; მენეჯმენტი (ქოუჩინგი, ემოციური intelligence), საზოგადოებასთან ურთიერთობები (PR და SEO-ს ტაქტკები), ფსიქოლოგია (სამართლის ფსიქოლოგია, არავერბალური კომუნიკაციის პროფესიული პროგრამა) და სამართალი (ბიზნეს სამართალი და სამშენებლო სამართალი). წარმატებით განხორციელდა საზაფხულო სკოლა

საბაკალავრო პროგრამის დანერგვა

- ციფრული მედია და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა - ჟურნალისტიკის და მედია მენეჯმენტის სკოლა
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა- სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

- პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა - სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

არსებული საბაკალავრო პროგრამის დახვეწა

უნივერსიტეტში მუდმივად მიმდინარეობს საბაკალავრო პროგრამის დახვეწა, სრულყოფა და სწავლების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით.

- ორმაგი ხარისხის საბაკალავრო პროგრამები (3+1) წარმატებით ხორციელდება

უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობის გაღრმავება/ ახალი პარტნიორების მოზიდვა

- უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს უცხოელი პარტნიორების მოზიდვაზე, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ფიქსირდება უნრთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების ყველაზე მაღალი ნიშნული, ერთობლივი საგანმანათლებლო და რეგიონული განვითარების პროექტების რაოდენობა და სტუდენტების გაცვლითი პროგრამებში ჩართულობა.
- გაცვლითი პროგრამა სამართლისა და პოლიტიკის სკოლასა და მასარიკის უნივერსტეტის სამართლის ფაკულტეტს შორის (ჩეხეთი)
- მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსტეტის და სამართლისა და პოლიტიკის გაცვლითი პროგრამა (საერთაშორისო სამართალის სამაგისტრო პროგრამა);
- ჟურნალისტიკის სკოლა ევროპული ჟურნალისტიკის ტრენინგების ასოციაციის (EJTA) წევრია

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა/სასწავლო ფართის და დამხმარე ფართის გაზრდა

- უნივერსიტეტის ახალი, თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული შენობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის პროექტი კონკურსის გზით შეირჩა და დამტკიცდა.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის ხელშეწყობა

- უნივერისტეტი მუდმივად ზრუნავს კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობაზე. უნივერსიტეტში შექმნილია კარიერული განვითარების და ხელშეწყოფის ცენტრი. GIPA დასაქმების ფორუმებში აქტიურად იღებს მონაწილეობას. სხვადასხვა პროექტის ფარგლებში იმართება კარიერული განვითარების კამპანიები. საჯარო და კერძო სექტორთან ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები, ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა სტაჟირებას. სადისკუსია სესიები/მრგვალი მაგიდა/ვორქშოფები/პრაქტიკული/გაცნობითი პრაქტიკები პოტენციურ დამსაქმებლებთან ხელს უწყობს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმებას. შესაბამისად, GIPA -ს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი აქვს

სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ელექტრონული ბაზის სრულყოფა

- სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ნაწილში მნიშვნელოვან როლს თამაშობს GIPA-ს ინსტრანეტი (lmb.gipa.ge-)გაზრილი ფუნქციებით. ამჟამად, ინტრანეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. ინტრანეტს ასევე დაემატა ხარისხის მართვის/უზრუნველყოფის კომპონენტი, კითხვარებისა და კვლევების სახით, რაც GIPA ხარისხის კონტროლის მნიშვნელოვანი ნაწილია.

საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სასწავლო მასალის შექმნა/გამოცემა და უნივერსიტეტის მატერიალურ ტექნიკური ბაზის და საბიბლიოთეკო ფონდის განახლება

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" განხორციელებისათვის შეძენილია თანამედრო სასწავლო აღჭურვილობა.
- ითარგმნა და გამოიცა სასწავლო ლიტერატურა: გარემოს დაცვის მართვის საფუძვლები, ETA Consultancy 2010, NEBOSH NATIONAL CERTIFICATE IN ENVIRONMENTAL MANAGEMENT; შრომის უსაფრთხოება, პრაქტიკული სახელმძღვანელო, ავტორი: ვასილ ტერიჩი, ETA Consultancy 2010 NEBOSH unitised IGC; შრომის უსაფრთხოების საფუძვლები, ავტორი: ვასილ ტერიჩი, ETA Consultancy 2010;
- ფერმის ბიზნესის მენეჯმენტი კარგი პრაქტიკის საფუძვლები, პიტერ ლ. ნათჰოლი, www.cabi.org

კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოტივაციის გაზრდისთვის აუცილებელი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა

- თანამედროვე სწავლების ცენტრის ფარგლებში ინტენსიურად მიმდინარეობდა ტრენინგები და კონსულტაციები უნივერსიტეტის თანამშრომლების კვალიფიკაციის და მოტივაციის ამაღლების კუთხით.

კვლევების, კონფერენციების, სხვადასხვა საგრანტო პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობა

- აშშ-ს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა შემდეგი კონფერენციები: 'ეფექტური მმართველობა-საგანმანათლებლო საქმიანობით დემოკრატიული ღირებულებებისა და პრაქტიკის ხელშეწყობა', 'საქართველოს ევროპული არჩევანი - მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ ევროპელი', მმართველობის სკოლამ და მაასტრიხტის მენეჯმენტის სკოლამ გამართა ერთობლივი კონფერენცია 'მეწარმეობა და განათლება', საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა უნივერსიტეტის დაფინანსებით მონაწილეობა მიიღეს NASPAA-ს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში (ბუდაპეშტი, უნგრეთი); ჟურნალისტიკის სკოლის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიღეს EJTA-კონფერენციაში; GIPA-მ, ჯორჯიის უნივერსტეტთან და ჯორჯ მეისონის უნივერსტეტთან ერთად გამართა ტრენინგები 'კვლევის მეთოდები ქართველი საჯარო მოხელეებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებისათვის'.

- შემდეგი კვლევები განხორციელდა MCA საქართველოს პროექტის - "პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" ფარგლებში: "ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებული კომპანიების ბაზრის კვლევა", "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სპეციალისტების დასაქმების პერსპექტივები საქართველოში".
- EU/ENPARD პროექტის- "თანამედროვე კვლევითი პრაქტიკის გაძლიერება რეგიონულ სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტებში" ფარგლებში განხორციელდა კვლევები (ხახვის ღირებულებათა ჯაჭვის კვლევა; ატმის ღირებულებათა ჯაჭვის კვლევა; კაკლის ღირებულებათა ჯაჭვის კვლევა).
- EU/ENPARD პროექტის - "სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში" ფარგლებში განხორციელდა: ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის (LDS) განვითარებისათვის თემთა პრობლემებისა და საჭიროებების შესწავლის საბაზისო კვლევა; ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია.
- მმართველობის სკოლის შიდა კვლევა - "GIPA -ში ორგანიზაციული ეფექტურობის გაზომვა და მაჩვენებლები"; მმართველობის სკოლის ორგანიზებით და ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით მომზადდა პუბლიკაცია - "საქართველოს საჯარო პოლიტიკის მიმდინარე საკითხები"
- სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტმა დააფინანსა საერთაშორისო კონფერენცია - „ეფექტური მმართველობა - საგანმანათლებლო საქმიანობით დემოკრატიული ღირებულებებისა და პრაქტიკების ხელშეწყობა"; გამოიცა GIPA -ს ონლაინ ჟურნალი Politics and Democratization-ის მესამე ნაწილი; მომზადდა პროექტის "ორგანიზაციის ეფექტიანობის საზომები GIPA -ში" ანგარიში, პროექტის შედეგები გამოყენებულია, როგორც მეორადი მონაცემები სტრატეგიულ განვითარების საკითხებში. ჩამოყალიბდა საჯარო მმართველობის კვლევითი ორგანიზაციების ქსელი (PARON). მასში გაერთიანებულია საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, საქართველოს ახალგაზრდა იურისთა ასოციაცია, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ცენტრი, კავკასიის უნივერსიტეტის მმართველობის სკოლა, ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი და თსუ.
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი პროექტები: Erasmus+ პროექტი - " ABC – Assisting Better Communication"; 2018 წლის საზაფხულო აკადემია ახალი პროფესიონალებისათვის 2018 (Summer Academy of Young Professionals); ღია პლატფორმა; ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი -ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა; ონლაინ სწავლების პლატფორმის განვითარება ჟურნალისტებისათვის (ამერიკის საელჩო აზერბაიჯანში); პრაქტიკული პოლიტიკის სკოლა; "კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ საზოგადოებებს შორის ნდობისა გაუმჯობესება ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ საერთო მიდგომების გამოყენებით - (დონორი: ბრიტანეთის საელჩო/AAH); ჟურნალისტიკის სკოლა ახორციელებს პროექტს -"მულტიმედიური უნარები და განათლება ეთნიკური საზოგადოებისათვის"; ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგის პროექტი (დონორი: ევროკომისია).

უცხოელი თუ ადგილობრივი პროფესიონალების სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა/ინტერნაციონალიზაცია

- სხვადასხვა საფეხურის ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დანერგვა/განხორციელებასთან ერთად გაიზარდა უცხოელი და ადგილობრივი კვალიფიციური პერსონალის, მოწვეული ლექტორებისა თუ დარგის სპეციალისტების ჩართულობა სასწავლო პროცესში.

სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მონიტორინგის სისტემის სრულყოფა

- პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის გაიმართა 3 დღიანი ტრენინგი შემდეგ საკითხებზე: პროფესიულ სწავლებაში სტუდენტთა შეფასების სისტემები და კრიტერიუმები, სასწავლო მასალების გენდერული ანალიზი და GIPA -ს შიდა შეფასების სისტემები და კრიტერიუმები.

მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემების სრულყოფა

- GIPA-მ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში: ექსპო ჯორჯიაში განათლების გამოფენა; სტუდენტური ფესტივალის და დოკუმენტური კინოფესტივალი GIPA DOCU-ს ორგანიზება; საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზება; სათხილამურო ტურნირის ორგანიზება გუდაურში; Joshua Freedman-ის ყოველწლიური კონკურსი ორგანიზება და ა.შ.
- განახლდა GIPA - ს ვებგვერდი; რადიო GIPA კვლავ მარკეტინგული აქტივობების ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია; ჟურნალისტიკის სკოლამ ჩამოაყალიბა კომპიუტერული გრაფიკული Graphic MultiLab - პირველი ავტორიზებული მულტიპლატფორმული სასწავლო ცენტრი კავკასიის რეგიონში; GIPA DocU 2017 -ის საუკეთესო ფილმის ჩვენება გაიმართა შევიცარიის ფილმის ფესტივალზე
- გაიმართა ღია კარის დღე; GIPA შეუერთდა წიგნის მსოფლიო დღეს და სტუდენტების ინიციატივით, რუსთაველის მეტროს ბაქანზე მოეწყო სამკითხველო სივრცე; აქტიურად მიმდინარეებს PR და მარკეტინგული კამპანიები სოციალური მედიის გამოყენებით; სიახლეები მუდმივად შუქდება საინფორმაციო სააგენტო ipn.ge მიერ

გამოწვევები:

- ✓ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის თანხების მობილიზება და კონსოლიდირება
- ✓ ავტორიზაციის პროცესისათვის რესურსების მობილიზება

დაგეგმილი აქტივობები:

- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტის მიზანშეწონილობის კვლევა სამ ქვეყანას შორის, საქართველო, ბულგარეთი და რუმინეთი (კვლევები განხორციელდება ევროკავშირის სამეზობლო თანამშრომლობის (EU ENI CBC), შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროგრამის (BSB 2014-2020) ფარგლებში.